

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტისადმი

ბრძანება № 01-01/01

თბილისი

“ 21 “ იანვარი 2021 წ.

გაზაფხულის სემესტრში მობილობის ვადების, ვაკანტური ადგილების და წარმოსადგენი
დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ:

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ
ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა
უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-2 მუხლის პირველი
პუნქტის, მე-3 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებისა და სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო
სისტემის უფროსის 2020 წლის 24 დეკემბრის №1.1/141 ბრძანების, გთუნის სასწავლო
პროცესის მარეგულირებელი წესის მე-9 მუხლის, ბიზნესისა და სოციალური
მეცნიერებების ფაკულტეტის და სამართლის ფაკულტეტის დეკანების წარდგინებების
საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დამტკიცდეს 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობის პროცესის
ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადები და ადგილები:

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ბიზნესის ადმინისტრირება - (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები) - 40 ადგილი;
- ტურიზმი - 30 ადგილი;
- ჟურნალისტიკა - 25 ადგილი;
- ფსიქოლოგია - 25 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი - 20 ადგილი;
- საბანკო საქმე - 20 ადგილი;
- მასობრივი კომუნიკაცია - 10 ადგილი.

სამართლის ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სამართალი - 50 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სისხლის სამართალი - 15 ადგილი;
- კერძო სამართალი - 15 ადგილი.

2. მობილობის წესით ჩასარიცხ სტუდენტთათვის ვაკანტური ადგილების შესახებ წერილობითი განაცხადის სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (თანდართული ელექტრონული ფორმა) წარდგენის ვადა - 2021 წლის 22 იანვრის ჩათვლით;

3. 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა უნივერსიტეტში რეგისტრაციის ვადები:

✓ ელექტრონულ პორტალზე დადებითი შედეგის შემთხვევაში სტუდენტის უნივერსიტეტში გამოცხადების და აუცილებელი დოკუმენტაციის წარდგენის ვადა - 2021 წლის 12 თებერვლიდან - 18 თებერვლის ჩათვლით (ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა 10:00 საათიდან 15:00 საათამდე);

✓ უნივერსიტეტში მობილობით გადმოსვლის სტუდენტთა კრედიტების აღიარება და გაცნობა 2021 წლის 12 თებერვლიდან -18 თებერვლის ჩათვლით;

✓ მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა შესახებ სამართლებრივი აქტების პროექტების საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ელექტრონულად ასახვის ვადა - **2021** წლის 19 თებერვალი;

✓ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის თაობაზე ბრძანების გამოცემის ვადა - **2021** წლის **01** მარტამდე;

✓ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ბრძანების საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში ასახვის ვადა - 2021 წლის 04 მარტამდე;

✓ სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ გამოცემული ბრძანების მართვის სისტემაში წარდგენის ვადა - 2021 წლის 05 მარტამდე;

✓ მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების გამოცემის ვადა - 2021 წლის 06 მარტამდე;

✓ მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოცემული ბრძანების საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში ასახვის ვადა - 2021 წლის 06 მარტამდე;

✓ მობილობით გადასული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ ბრძანების (თანდართული ელექტრონული ვერსიით) მართვის სისტემაში წარდგენის ვადა - 2021 წლის 06 მარტი;

✓ მობილობით გადასული სტუდენტების მიმართ სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოცემული ბრძანებიდან ამონაწერის (თანდართული დოკუმენტებით) გაცემის ვადა - სტუდენტის მიმართვიდან 1 კვირა.

4. განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- ✓ განცხადება (რექტორის სახელზე);
- ✓ სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ პირადობის მოწმობის ასლი;
- ✓ სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- ✓ სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტი;
- ✓ სტუდენტის სასწავლო ბარათი (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით).

5. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობით ჩარიცხულმა სტუდენტებმა, მობილობით განპირობებული განსხვავებული კრედიტები აითვისონ უფასოდ.

6. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობით გადმოსულმა სტუდენტებმა, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ერთი სემესტრი (სასწავლო გეგმით გათვალისწინებული 30 კრედიტი) გაიარონ უფასოდ.

7. დოკუმენტების მიღება დაევალოს რექტორის აპარატის უფროსს

8. უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველთა კრედიტების აღიარება დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სასწავლო პროცესის მართვისა და მეცნიერების სამსახურთან შეთანხმებით

9. ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას

10. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს

ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი**

გიორგი მათიაშვილი

**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
აღმასრულებელი დირექტორი**

ელისო ელისაშვილი